პროლეტარიანო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკპ(ბ) ს. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკპ(ბ) სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 25 მარტი, 1943 წ. № 70 (6695). ფასი 20 კაპ.

მთლიანად შეასრულოთ სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები პასუხსაგები, სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. დიდი სამამულო ომის ამ გადამწყვეტ მომენტში ზურგის მუშაკებს მოეთხოვებათ კიდევ უფრო დაძაბული შრომა. სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის პატრიოტული ვალია 1943 წელს ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მისცენ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული მრეწველობისათვის გასულ წელთან შედარებით. მომავალ უნვ მოსავალს საძირკველი გაუფუძნოს. ეს გვიკარნახებს დაწესებულ ვადებში მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა.

1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 18 მარტის დადგენილებაში მოცემულია უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა განუხრელად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის ეს გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 18 მარტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი „1943 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ".

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სათესი ფართობი 1943 წლის მოსავლისათვის, აგრეთვე გეგმა საგაზაფხულო კულტურების, თესვისა 1943 წლისათვის, გეგმა საშემოდგომო კულტურების თესვისა 1944 წლის მოსავლისათვის, გეგმა მარცვლეული კულტურების, ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობისა, გეგმა მტს-ების სატრაქტორო სამუშაოებისა და გეგმა აგროტექნიკური ღონისძიებებისა. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ომიანობის ძნელ პირობებში ძირითადად მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და ხარისხოვნად ჩატარებას და უზრუნველჰყვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემდგომი ზრდა. გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს კარგად გაართვეს თავი თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, წალენჯიხის, ზუგდიდის, წითელწყაროს, ახალქალაქის, ასპინძის, მახარაძის, ხაშურის, ლანჩხუთის, ბორჩალოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ბათუმის, ხულოს, გალის და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მაგრამ ზოგიერთმა რაიონმა, მაგალითად, ყვარლის, თელავის, საგარეჯოს, თბილისის, წულუკიძის, ვანის, ყარაიის, ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა 1942 წელს არადამაკმაყოფილებლად მოაწყეს მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში ძირითად დავალებათა შესრულების მხრივ. ამ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამეწარმეო-ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ აქედან და მომდინარე წელს უზრუნველჰყონ სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მთლიანად შესრულება.

საქართველოში უკვე გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ხვნა-თესვას და იბრძვიან იმისათვის რომ 1943 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი მიიღონ.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში მეტად ნელი ტემპებით ჩაღდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჯერ კიდევ ყველგან არ არის მომზადებული სატრაქტორო პარკი მინდვრის სამუშაოებისათვის. საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოებს.

საქ. სსრ სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის 1943 წლის მოსავლის სათესი ფართობის გეგმა, საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 1943 წლისათვის, საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა 1944 წლის მოსავლისათვის, მარცვლეული, ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობის, მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაიისაბჭოების აღმასკომებმა უნდა უზრუნველჰყონ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საერთო კრებებზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 18 მარტის დადგენილების განხილვა, შეამოწმონ მზადყოფნა საგაზაფხულო თესვისათვის და ადგილზევე მიიღონ საჭირო ზომები ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები 1 აპრილამდე დაყვანილ უნდა იქნას კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა განუხრელად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის ეს გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 18 მარტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი „1943 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ".

საქ. სსრ სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ომიანობის ძნელ პირობებში ძირითადად მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და ხარისხოვნად ჩატარებას და უზრუნველჰყვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემდგომი ზრდა. გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს კარგად გაართვეს თავი თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, წალენჯიხის, ზუგდიდის, წითელწყაროს, ახალქალაქის, ასპინძის, მახარაძის, ხაშურის, ლანჩხუთის, ბორჩალოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ბათუმის, ხულოს, გალის და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მაგრამ ზოგიერთმა რაიონმა, მაგალითად, ყვარლის, თელავის, საგარეჯოს, თბილისის, წულუკიძის, ვანის, ყარაიის, ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა 1942 წელს არადამაკმაყოფილებლად მოაწყეს მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში ძირითად დავალებათა შესრულების მხრივ. ამ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამეწარმეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ აქედან და მომდინარე წელს უზრუნველჰყონ სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მთლიანად შესრულება.

საქართველოში უკვე გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ხვნა-თესვას და იბრძვიან იმისათვის რომ 1943 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი მიიღონ.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში მეტად ნელი ტემპებით ჩაღდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჯერ კიდევ ყველგან არ არის მომზადებული სატრაქტორო პარკი მინდვრის სამუშაოებისათვის. საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოებს.

საქ. სსრ სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის 1943 წლის მოსავლის სათესი ფართობის გეგმა, საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 1943 წლისათვის, საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა 1944 წლის მოსავლისათვის, მარცვლეული, ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობის, მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაიისაბჭოების აღმასკომებმა უნდა უზრუნველჰყონ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საერთო კრებებზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 18 მარტის დადგენილების განხილვა, შეამოწმონ მზადყოფნა საგაზაფხულო თესვისათვის და ადგილზევე მიიღონ საჭირო ზომები ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები 1 აპრილამდე დაყვანილ უნდა იქნას კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 18 მარტის დადგენილებაში მოცემულია უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა განუხრელად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის ეს გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 18 მარტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი „1943 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ".

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დამტკიცეს ყველა სასოფლო-სამეურნეო სათესი ფართობის 1943 წლის მოსავლისათვის, აგრეთვე გეგმა საგაზაფხულო კულტურების, თესვისა 1943 წლისათვის, გეგმა საშემოდგომო კულტურების თესვისა 1944 წლის მოსავლისათვის, გეგმა მარცვლეული კულტურების, ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობისა, გეგმა მტს-ების სატრაქტორო სამუშაოებისა და გეგმა აგროტექნიკური ღონისძიებებისა. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ომიანობის ძნელ პირობებში ძირითადად მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და ხარისხოვნად ჩატარებას და უზრუნველჰყვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემდგომი ზრდა. გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს კარგად გაართვეს თავი თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, წალენჯიხის, ზუგდიდის, წითელწყაროს, ახალქალაქის, ასპინძის, მახარაძის, ხაშურის, ლანჩხუთის, ბორჩალოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ბათუმის, ხულოს, გალის და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მაგრამ ზოგიერთმა რაიონმა, მაგალითად, ყვარლის, თელავის, საგარეჯოს, თბილისის, წულუკიძის, ვანის, ყარაიის, ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა 1942 წელს არადამაკმაყოფილებლად მოაწყეს მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში ძირითად დავალებათა შესრულების მხრივ. ამ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამეწარმეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ აქედან და მომდინარე წელს უზრუნველჰყონ სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მთლიანად შესრულება.

საქართველოში უკვე გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ხვნა-თესვას და იბრძვიან იმისათვის რომ 1943 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი მიიღონ.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში მეტად ნელი ტემპებით ჩაღდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჯერ კიდევ ყველგან არ არის მომზადებული სატრაქტორო პარკი მინდვრის სამუშაოებისათვის. საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოებს.

საქ. სსრ სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის 1943 წლის მოსავლის სათესი ფართობის გეგმა, საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 1943

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით მიიღო მთელმა საბჭოთა ხალხმა თქვენი ისტორიული ბრძანება, რომელიც აღნიშნავს გმირი წითელი არმიის სახელოვან 25 წლის გზას, მის წარმატებებს გერმანელთა ურდოების გადადგურებისა და ჩვენი წმიდა მიწა-წყლიდან მათი განდევნის საქმეში.

ჩვენთვის, ლენინის ქალაქის რკინიგზელებისათვის, ისე როგორც ყველა ლენინგრადელისათვის, რომელთაც მძიმე განსაცდელი გადაატანეს, განსაკუთრებით სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ბლოკადა, რომლითაც ჰიტლერელი დამპყრობნი ცდილობდნენ ჩვენს დახრჩობას, გარღვეულია წითელი არმიის მიერ.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის დარტყმებით უკანდახევისას გერმანელი ბანდიტები ანგრევენ, სწვავენ და სპობენ საბჭოთა ადამიანების უდიდესი მეცადინეობითა და შრომით მოპოვებულ სახალხო ქონებას. განსაკუთრებით ძლიერ ანგრევენ ფაშისტი არამზადები რკინიგზებს, ცდილობენ რა ამით შეაკავონ წითელი არმიის შეტევა. მაგრამ ამას ისინი ვერ მოახერხებენ.

მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის მეცადინეობით აღდგენილ იქნება ქალაქები და სოფლები, ფოლადის მაგისტრალები, ქარხნები და ფაბრიკები, აღორძინებულ იქნება ქალაქი სტალინგრადი, რომლის მამაცმა დამცველებმა გზა გადაუღობეს გერმანელ ფაშისტთა ურდოებს და ომების ისტორიაში უმაგალითო დამარცხება აგემეს მტერს.

ლენინგრადელ რკინიგზელთა ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება ის გულთბილი ზრუნვა და უდიდესი დახმარება, რაც მათ სამშობლომ აღმოუჩინა მტრის მიერ ლენინგრადის გარშემორტყმის ყველაზე მძიმე დღეებში.

ბევრი რამ გააკეთეს ჩვენთვის საბჭოთა კავშირის რკინიგზელებმა, რომლებიც გვამარაგებდნენ სურსათით, მასალებით, გვეხმარებოდნენ კვალიფიციური კადრებით. ახლა ჩვენ მოხარული ვართ, რომ საშუალება გვაქვს ჩვენი მცირე მხარდაჭერით დახმარება აღმოვუჩინოთ მტრისაგან განთავისუფლებული რკინიგზების უბნების მალე აღდგენის საქმეს.

ოქტომბრის გზის რკინიგზელებმა შეაგროვეს და შინარესურსების მობილიზაციის ხარჯზე თავიანთ საწარმოებში დაამზადეს მოწყობილობა, რომელსაც განთავისუფლებულ გზებზე გზავნიან.

ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს დავამზადეთ და შევაკეთეთ რა მოწყობილობა, ინსტრუმენტი და სათადარიგო ნაწილები, ჩვენ, ლენინგრადის რკინიგზის კვანძის, პროლეტარსკის ორთქლმავალსარემონტო ქარხნისა და ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ოქტომბრის ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაკებმა, დავტვირთეთ და გასაგზავნად გავამზადეთ:

სრული მოწყობილობა ერთი საბრუნავი დეპოსათვის (სახარატო-ხრახნსაჭრელი, საბურღავი, განივ-სარანდავი ჩარხები, გაზშემდუღებელი აპარატი და ინსტრუმენტი); მოწყობილობა ერთი წყალსატუმბავისათვის (შუხოვის ქვაბი, ორი ტუმბო, მილები და ფასონური ნაწილები) და ვაგონის ტექნიკური გასინჯვის ორი პუნქტისათვის; 30-კილოვატიანი მოძრავი ელექტროსადგური; მოსაბრუნი წრის ფერმა; 1-ლი კატეგორიის აღმდგენი მატარებელი 45-ტონიანი საამწეო ონკანით, რომელიც იგზავნება 27 მუშაკ მომსახურე პერსონალიანად; სატელეფონო-სატელეგრაფო სადგური 50 აბონენტისათვის, რომელიც დამონტაჟებულია ვაგონში და აქვს 50 აპარატი; მოწყობილობა ერთი სადისპეტჩერო წრისათვის ერთი განმკარგულებელი და 20 საშუალედო სადგურისათვის; 10 ვაგონ-სადგური, რომლებსაც აქვს კავშირგაბმულობის მოწყობილობა; 20 სატელეგრაფო აპარატი მორზესი; მოწყობილობა ერთი საუბნო დასატვირთავი კანტორისათვის 7,5 ტონიან ონკანიანად, ტრანსპორტერებიანად, ურიკებიანად და სასწორებიანად; სალიანდაგო მექანიზმები და ინსტრუმენტი ლიანდაგის 8 საოსტატოიანი ერთი დისტანციისათვის, მათ შორის დრეზინი უა, ელექტროშემდუღებელი მოძრავი აგრეგატი, რელსსაჭრელი, რელსსაბურღავი და სახეხი ჩარხები; 100 კომპლექტი ისრის გადასაყვანები ჯვარედინებიანად; 2 ვაგონი სათადარიგო ნაწილები ორთქლმავალთათვის და 4—ვაგონების შესაკეთებლად; ანაწყობი ვაგონების გასასინჯი და სარემონტო ინსტრუმენტისა 10 საზეინკლო ბრიგადისათვის; სახანძრო ტუმბო, ავტომანქანაზე დადგმული; მოძრავი და სტაციონარული სახელოსნოები მეტეოროლოგიური სადგურისათვის და გეოდეზიური ინსტრუმენტის კომპლექტი; მედიკამენტები, შესახვევი მასალა, სამედიცინო ინსტრუმენტები ორი ამბულატორიისათვის.

ამ ტვირთს მემანქანეები წაიღებენ ორი ორთქლმავლით, რომლებიც შეკეთებულია სტალინგრადელთათვის საჩუქრად.

შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ლენინგრადელი რკინიგზელები სტალინგრადის გმირულ დაცვას. მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად ჩვენ აღტაცებული ვაყვავით მისი დამცველების—წითელი არმიის მეომრების, სახელოვანი ქალაქის მშრომელების, მებრძოლი რკინიგზელების სიმტკიცითა და მამაცობით, რომელნიც უზრუნველჰყოფდნენ ფრონტისათვის სხვადასხვა ტვირთის მიწოდებას. მუდამ უჭკნობი დარჩება დიდება სტალინგრადელი გმირებისა, რომლებმაც განახორციელეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმისა და განადგურების გენიალური სტალინური გეგმა.

ჩვენ გთხოვთ გადასცეთ ჩვენ მიერ შეგროვებული მოწყობილობა სტალინგრადის სახელოვან რკინიგზელებს სტალინგრადის რკინიგზის კვანძის უსწრაფესად აღდგენისათვის.

პირობას გაძლევთ თქვენ, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ოქტომბრის გზის რკინიგზელები ყველაფერს გააკეთებენ, რაც კი საჭირო იქნება, რათა დაეხმარონ წითელი არმიის მეომრებს საბოლოოდ მოხსნან მტრის ბლოკადა ლენინგრადს.

ვმუშაობთ რა ძნელ პირობებში, ჩვენ სიხარულით ვახმართ მთელ ჩვენს ძალ-ღონესა და უნარს მამაცი წითელი არმიისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენას. საბჭოთა მეომრების საბრძოლო წარმატებებით აღფრთოვანებული ოქტომბრის გზის რკინიგზელები, წითელი არმიის საჭურველის ასაგებად წინათ შეტანილ 3.335.446 მანეთს გარდა, განაგრძობენ სახსრების შეგროვებას ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად.

ჩვენ მოვუწოდებთ მთელი ჩვენი ქვეყნის რკინიგზელებს გააძლიერონ ბრძოლა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გააჩაღონ ყველა საწარმოში ნამდვილად შესაბრივი სოციალისტური შეჯიბრება. მაქსიმალური დახმარება აღმოვუჩინოთ მოწყობილობით, ინსტრუმენტით, მასალებითა და სათადარიგო ნაწილებით ტრანსპორტის იმ უბნებს, რომლებიც განთავისუფლებულია მოწინააღმდეგისაგან, რათა სწრაფად აღვადგინოთ მტრის მიერ დანგრეული სადგურები, დეპოები, სახელოსნოები. მივცეთ საჭირო რაოდენობის მემანქანეები, ზეინკლები, კონდუქტორები, ელექტრომონტიორები და სხვა მუშაკები, რათა უფრო სწრაფად მოეწყოს აღდგენილ მაგისტრალებზე მატარებელთა სვლა ფრონტისაკენ და სახალხო მეურნეობის საწარმოებისაკენ.

ჩვენ დაუღალავად ვიმუშავებთ, დახმარებას გავუწევთ ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას, რომელიც საბჭოთა კავშირის დიდი მარშლის, საყვარელ ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით საბოლოოდ გაანადგურებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს და გაათავისუფლებს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს საზიზღარი ოკუპანტებისაგან.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენსა და დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!

ოქტომბრის რკინიგზის უფროსი **სალამბეკოვი**, გზის პოლიტგანყოფილების უფროსი **ლაბუტი**, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ოქტომბრის ვაგონსარემონტო ქარხნის უფროსი **გრიგორიევი**, პროლეტარსკის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის უფროსის მოადგილე **იაკოვლევი**, გზის სამსახურთა უფროსები: **სამოილოვი, იზვეკოვი, კანანინი, ელჩანინოვი, კარპოვი, მიხაილოვი**; ოქტომბრის გზის ლენინგრადის კვანძის სტახანოველები: **მემანქანეები ეფიმოვი, ელისეევი**; დისპეტჩერი **ზაკრევსკი**; გზის ოსტატები **ივანოვი, ბონდარევი, საველიევი**; ვაგონების გამსინჯველი **კუდრიავცევი**, სავაგონო უბნის ოსტატი **კონიაევი**; ელექტრომექანიკოსები **ორეფიევი, პივნევი**; ელექტროშემდუღებელი **კრასვალოვი**.

ოქტომბრის რკინიგზის უფროსს ამხ. სალამბეკოვს
გზის პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. ლაბუტს
ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ოქტომბრის ვაგონსარემონტო ქარხნის უფროსს ამხ. გრიგორიევს

პროლეტარსკის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის უფროსის მოადგილეს ამხ. იაკოვლევს, გზის სამსახურთა უფროსებს ამხ. სამოილოვს, იზვეკოვს, კანანინს, ელჩანინოვს, კარპოვს, მიხაილოვს, ოქტომბრის გზის ლენინგრადის კვანძის სტახანოველებს: მემანქანეებს ამხ. ეფიმოვს, ელისეევს, დისპეტჩერს ამხ. ზაკრევსკის, გზის ოსტატებს ამხ. ივანოვს, ბონდარევს, საველიევს, ვაგონების გამსინჯველს ამხ. კუდრიავცევს, სავაგონო უბნის ოსტატს ამხ. კონიაევს, ელექტრომექანიკოსებს ამხ. ორეფიევს, პივნევს, ელექტროშემდუღებელს ამხ. კრასვალოვს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და სსრ კავშირის მოსავრობის მადლობა ოქტომბრის გზის რკინიგზელებს, რომლებმაც დაამზადეს და შეაკეთეს მოწყობილობა, ინსტრუმენტი და სათადარიგო ნაწილები სტალინგრადის რკინიგზის კვანძის უსწრაფესად აღდგენისათვის.

ი. სტალინი

მოსკოვის ოლქის № 3 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივის მიმართვა

მოსკოვის ოლქის №3 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივმა ჩვენი ქვეყნის სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ყველა მოსწავლეს, ოსტატსა და მუშაკს მიმართა მოწოდებით ფართოდ გაჩაღონ წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება.

სასწავლებლის კოლექტივმა იკისრა მარტსა და აპრილში მიაღწიოს წარმატების ახალ ამაღლებას საწარმოო და თეორიულ სწავლაში, სახელმწიფო დაკვეთა მარტში შეასრულოს 140 პროცენტით, ხოლო აპრილს პროგრამა 25 რიცხვისათვის დაამთავროს 25 პროცენტის გადაჭარბებით. კოლექტივმა შეფობა აიღო სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის სახელოსნო სასწავლებელზე და გადასწყვიტა მარტისა და აპრილის განმავლობაში მისთვის დამზადოს 50 მუხრუჭი, 10 შტანგენცირკული, 500 ხვეული ხერხი და სხვა ინსტრუმენტი, საქვეშეფოებს გაუგზავნოს 1.000 წიგნისაგან შემდგარი ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკა.

გადაწყვეტილია თავიანთი ძალებით კაპიტალური რემონტი გაუკეთონ 10 ჩარხს, რომლებსაც ახლა არ იყენებენ, და 25 აპრილისათვის ამუშაონ ისინი.

ნაკისრია ვალდებულება დაამთავრონ 25 არტილერისტის, 25 ტელეგრაფისტის, 20 ტელეფონისტის, ტანკთა 20 გამანადგურებლის, 25 ავიამოტორისტის, ხელოვნური ბრძოლის 15 ინსტრუქტორისა და 40 სანრაზმელი ქალის მომზადება.

სასწავლებლის კოლექტივმა გადასწყვიტა მუშაობისაგან თავისუფალ დროს დაამზადოს საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტი მიტიშჩის მტს-სათვის და გამოჰყოს ბრიგადა 15 მოსწავლის შემადგენლობით სასოფლო-სამეურნეო მანქანათა რემონტისათვის. სწავლების მეორე წლის საუკეთესო მოსწავლეთაგან შეიქმნება ჯგუფი 15 კაცის შემადგენლობით მათგან ოსტატების თანაშემწეთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა მოსამზადებლად.

(საკდესი).

მოსკოვი. კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩემი შვილი იუსუფი მშობლიური წითელი არმიის რიგებში იბრძვის ჰიტლერელი კაციჭამიების წინააღმდეგ. მე აღსავსე ვარ სურვილით—მამობრივი მზრუნველობა და დახმარება გავუწიო ჩემს შვილს და მთელ წითელ არმიას, რისთვისაც ჩემი დანაზოგიდან 100.000 მანეთი შემაქვს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" მშენებლობისათვის.

დაე მშობლიურმა წითელმა არმიამ ულმობლად ჭლიტოს ფაშისტი ქვეწარმავლები, რომლებიც ცდილობენ წაგვართვან ჩვენ ბედნიერი საკოლმეურნეო ცხოვრება.

მრავალ წელს იცოცხლეთ და ჯანმრთელად იყავით, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალციხის რაიონის ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე კაგრიმან იბრაგიმ ოღლი

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალციხის რაიონის ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა

ფერმის გამგეს ამხ. კაგრიმან იბრაგიმ ოღლის

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო კაგრიმან

წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

საქართველოს სს რესპუბლიკის გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. კარაპეტ ნიკოლოზის-ძე ზაზიაშვილს

წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე ზრუნვისათვის გმადლობთ, ამხანაგო ტატიაშვილო, თქვენ და კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც შეაგროვეს სახსრები სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგებად.

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 18 მარტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი „1943 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ".

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს ყველა სასოფლო-სამეურნეო სათესი ფართობი 1943 წლის მოსავლისათვის, აგრეთვე გეგმა საგაზაფხულო კულტურების, თესვისა 1943 წლისათვის, გეგმა საშემოდგომო კულტურების თესვისა 1944 წლის მოსავლისათვის, გეგმა მარცვლეული კულტურების, ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობისა, გეგმა მტს-ების სატრაქტორო სამუშაოებისა და გეგმა აგროტექნიკური ღონისძიებებისა. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ომიანობის ძნელ პირობებში ძირითადად მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და ხარისხოვნად ჩატარებას და უზრუნველჰყვეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემდგომი ზრდა.

გასული წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს კარგად გაართვეს თავი თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, წალენჯიხის, ზუგდიდის, წითელწყაროს, ახალქალაქის, ასპინძის, მახარაძის, ხაშურის, ლანჩხუთის, ბორჩალოს რაიონების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, აჭარის ასკ, რესპუბლ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

24 მარტის დილის ცნობა

23 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა გარეკეს მოწინააღმდეგე რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან; ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენი ქვეგანაყოფები ტყეში გარს შემორტყნენ გერმანელ მეავტომატთა რაზმს და გაელიტეს იგი.

* * *

დუხოვშჩინის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევდნენ, მთელი რიგი ოასახლებული პუნქტები დაიკავეს. 6 ნაწილმა გაფანთრებულ ბრძოლაში დაიკავა ზღუდე, რომელსაც დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს. გერმანელებმა ორი კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-მდე გვამი. მოსპობილია მოწინააღმდეგის 2 ქვემეხი, ტანკი, 23 ტყვიამფრქვევი და 24 ავტომანქანა. დანგრეულია მტრის 60-ზე მეტი ძელმიწური და ბლინდაჟი. წამოღებულია დაკვა.

* * *

ბელგოროდის რაიონში ჩვენი ჯავშანმტვრეველების ცეცხლით დამწვარია მოწინააღმდეგის 4 ტანკი და 5 ავტომანქანა. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტებმა გაანადგურეს გერმანელთა ავტოკოლონა, დამსხვრეულია 6 ავტოცისტერნი, 11 ავტომანქანა სამხედრო მასალიანად და მოსპობილია 100-მდე ჰიტლერელი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა მფრინავებმა გუშინდელი დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით გერმანელთა 13 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ვიტებსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციის წინააღმდეგ ბრძოლაში 68 ჰიტლერელი მოსპო. ბელორუსიის სხვა რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაგდეს მტრის სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამსხვრეულია ორთქლმავალი, 6 ვაგონი და 16 ძალატფორმა. ვაგონების ნამტვრევებქვეშ დაიღუპა 40 გერმანელი ფაშისტი დამპყრობი.

* * *

6 ნაწილის მებრძოლებმა, რომლებმაც 15 მარტს გერმანელთაგან გასწმინდეს სმოლენსკის ოლქის სოფელი ნოვაია, ნახანძრალში იპოვნეს მრავალი დამწვარი გვამი. სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ გულმოდგინე კვლევა-ძიება მოახდინა და გამოარკვია, რომ გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა უკან დაბეგის წინ დამწვეს სოფელ ნოვაიას და მისი მომიჯნავე სოფლების ბევრი მცხოვრები. აქტში ნათქვამია: „14 მარტს გერმანელებმა ერთად მორეკეს 200-მდე ქალი, მოხუცი და ბავშვი სოფელ ნოვაიადან, ლომანჩინოდან, კრივალევკიდან და გრიშინოდან, ჰიტლერელებმა შეჰყარეს ისინი ორ განაირა სახლში, დაუკეტეს ყველა კარი, ცეცხლი წაუკიდეს სახლებს, შემდეგ სროლა აუტეხეს ფანჯრებს და გრანატები დააყარეს. ბედნიერ ცდილობდა თავის გადარჩენას, ფანჯრებიდან ხტებოდნენ, მაგრამ გერმანელები ხვრეტდნენ მათ. სოფელ ნოვაიას მჩოლოდ რამდენიმე მცხოვრებმა—მ. ნესტეროვამ, ა. ოპენკინამ, კ. ბიჩკოვამ მოახერხა შეუმჩნეველად გახოხება, მიმალვა და დალუპვისათვის თავის დაღწევა. გვამების დათვალიერებისას გამოიცვნეს ოპენკინება ვერა—30 წლისა, ნიკოლოზი—7 წლისა, ვოლჩკოვები ევდოკია—60 წლისა, კლავდია—20 წლისა, ტატიანა—12 წლისა, ტრაბნიკოვები ნადეჟდა—30 წლისა, ტონია—6 წლისა. ვერა—ერთი წლისა, ბიჩკოვები ირინე—50 წლისა, ელენე—16 წლისა, ნიკოლოზი—10 წლისა, ვერა—7 წლისა და სხვები. ბევრი საბჭოთა დამწვარი მოქალაქის გვარის გამორკვევა არ მოხერხდა, რადგან მათი გვამები საფეხებით დანახშირებულია". აქტს ხელს აწერენ: ბვარდიოლ კაპიტანი ბუშლიაკოვი, სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი გრაბლევსკი, წითელარმიელები კარლოვი და საფრონოვი, სოფელ ნოვაიას მცხოვრებნი კ. ბიჩკოვა, მ. ნესტეროვა და ა. ოპენკინა.

24 მარტის საღამოს ცნობა

24 მარტს ჩვენმა შემტევმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბატალინსკი და რკინიგზის სადგური ალბინსკაია (ნოვოროსიისკის ჩრდილოაღმოსავლეთით).

სხვა ფრონტებზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

23 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აფეთქეს სამარ მასალათა 2 საწყობი, ჩაახშეს მტრის 10 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევდნენ, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 შენაერთის ნაწილებმა წყლის ზღუდე გადალახეს და მოწინააღმდეგის გამაგრებული პოზიციები დაიკავეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-მდე გვამი წამოღებულია 4 ქვემეხი, 17 ტყვიამფრქვევი, ბევრი შაშხანა და ვაზნები. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გარეკეს გერმანელები დასახლებულ პუნქტ საფრონოვიდან, რომელიც 4 კილომეტრზეა რკინიგზის სადგურ დოროგობუჟის ჩრდილოეთით. მოწინააღმდეგის დიდი ზარალი მოუვიდა ადამიანთა და ტექნიკის მხრივ.

* * *

დუხოვშჩინის ჩრდილოეთით 6 შენაერთის ნაწილები შეტევას განაგრძობდნენ და 7 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილმა გაელიტა გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. წამოღებულია დაკვა, მათ შორის გერმანელთა 5 ტანკი და 14 ქვემეხი. მოთხილამურე გვარდიელთა ქვეგანაყოფმა სწრაფი დარტყმით გარეკა გერმანელები სოფელ ეუგუნიდან. გვარდიელებმა უცილობელი დამარცხებისაგან იხსნეს 60-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები. გერმანელებს ქალები. მოხუცები და ბავშვები ერთი სახლის სარდაფში შეერეკათ და სახლისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ სოფელში შეჭრილმა საბჭოთა მებრძოლებმა ხანძარი ჩაქრეს და სასიკეთილოდ განწირული საბჭოთა ადამიანები გადარჩინეს.

* * *

ბელგოროდის რაიონში გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონმა 12 ტანკის დახმარებით სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. 6 ნაწილის მებრძოლებმა გაელიტეს 150 ჰიტლერელი, დაიზიანეს 3 ტანკი და აიძულეს გერმანელები სასწრაფოდ უკან დაბიათ. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერიის ცეცხლით მოსპობილია 2 საარტილერიო ბატარეა და გაფანტულია მოწინააღმდეგის თავმოყრილი ქვეითი ჯარი.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ გამოსულიყვნენ მდინარე სევერნი დონეცთან. 6 ნაწილის მებრძოლებმა ჰიტლერელთა ყველა იერიში მოიგერიეს. მოსპობილია გერმანელთა 9 ტანკი, 13 ავტომანქანა და მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ამ დღეებში თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს, რომელიც განლაგებული იყო სადგურსახლო დაბაში. პარტიზანებმა გაელიტეს 96 ჰიტლერელი, აფეთქეს ისრები და რკინიგზის ლიანდაგი. მატარებელთა მიმოსვლა ამ უბანზე შეჩერებულია. სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ოისპო 40-მდე ჰიტლერელი და ხელთ იგდო გერმანელთა სასურსათო საწყობი, 800 მეტრი ტელეფონის კაბელი, 4 ტყვიამფრქვევი, 14 ცხენი და სხვადასხვა სამხედრო ქონება.

* * *

დემიანსკის რაიონში ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 329-ე ქვეითი დივიზიის 552-ე პოლკის ობერ-ეფრეიტორმა ვილჰელმ ფრაკემ განაცხადა: „შარშან შემოდგომაზე ჩვენთან სოფელ ზალუჩიეში მოვიდა გენერალ-მაიორი ვერნერი. მან წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ ამჟამად გერმანელთა მთავარი შეიარაღებული ძალები სამხრეთში მოქმედებენ, ჩვენ კი აქ თავდაცვა გვიკავიაო. მაგრამ როგორც კი სტალინგრადთან საქმეს მორჩებიან, ჩვენ შეტევაზე გადავალთო. მაშინ გერმანიის ჯარები დემიანსკის პლაცდარმიდან გადამწყვეტ დარტყმას აგებენენ რუსებს და ომს დაამთავრებენო. გენერალის ამ სიტყვებს ჩვენ მრავალჯერ წყეულა-კრულვით ვიგონებდით თებერვალში, როცა რუსების დარტყმების გამო გავრბოდით. მხოლოდ ფუხებმა გვიხსნა ამ ბედისაგან, რაც გერმანიის მე-6 არმიის ჯარისკაცებს ეწიათ სტალინგრადთან. 552-ე პოლკმა ამ ბრძოლებში პირადი შემადგენლობის 70-ზე მეტი პროცენტი დაჰკარგა. ჩვენს ასეულში მხოლოდ 22 კაცი დარჩა. ტკანსკნელ ბრძოლაში, რუსების მოახლოებისას, ლეიტენანტი და ფელდფებელი დაიმალნენ. ჩვენ 20 კაცის რაოდენობით სანგრებში დავრჩით და ტყვედ დაგნებდით".

ლუხოვშჩინის ჩრდილოეთით

მოქმედი არმია, 24 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დუხოვშჩინის ჩრდილოეთით ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც შეტევითს ბრძოლებს ეწევიან, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 შენაერთის ნაწილებმა ხშირ კონტრიერიშზე გადმოდიან, მაგრამ საბჭოთა მებრძოლნი ყველა ამ კონტრიერიშს იგერიებენ. ერთმა ჩვენმა ნაწილმა დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის 5 კონტრიერიში მოიგერია და დიდი ზარალი მიაყენა მას.

ყველაზე უფრო ხშირად ბრძოლები ჩაღდება ტყეში ცალკეულ წვრილ ჯგუფებს შორის. ასეთ პირობებში ბრძოლების ბედს სწყვეტს მებრძოლთა და მეთაურთა მოსაზრებულობა, სამხედრო ოსტატობა და სიმამაცეაი როგორ ავიღეთ ტყის სოფელი.

ჩვენი 12 მებრძოლი ბატალიონით შევიდა მოწინააღმდეგის განლაგებაში. ყაზახი წოთელარმიელი ზალალაევი შეუმჩნეველად მიეპარა მტრის ტყვიამფრქვევს, რომელიც განუწყვეტლივ გვიშენდა, და შაშხანით მოჰკლა ორი გერმანელი, რომელნიც ტყვიამფრქვევის გუნდს შეადგენდნენ. ტყვიამფრქვევი მყისვე მიაბრუნა ფაშისტებისაკენ, რომელნიც გუნდის გადასარჩენათ მოისწრაფოდნენ. ხანმოკლე შეტაკების დროს ზალალაევმა მოჰკლა კიდევ 6 გერმანელი. ზალალაევის ცეცხლის საფარქვეშ 11 ჩვენი მებრძოლი სოფელში შეიჭრა.

სხვა ადგილას მოწინააღმდეგე 100-მდე ჯარისკაცით კონტრიერიშზე წამოვიდა მებრძოლთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომელსაც პარტორგი პარფენოვი მეთაურობდა. კომუნისტმა პეტროვმა წინ წაიწია ტყვიამფრქვევით და სწრაფად შეინიღბა. პეტროვმა დაიცადა, სანამ ჰიტლერელები ფლანგით მიუახლოვდებოდნენ, და ხანგრძლივი ჯერი დააყარა. 19 გერმანელი მოსპობილ იქნა. ამ დროს პარფენოვმა უბრძანა მებრძოლებს სროლა აეტეხათ. ფაშისტები დამარცხებულ და უკუგდებულ იქნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ წითელარმიელები გადაჯგუფდნენ და კიდევ ორი სოფლიდან განდევნეს ჰიტლერელები.

ერთმანეთის გვერდით განლაგებული ორი დასახლებული პუნქტის აღების სინტერესო ოპერაცია ჩაატარა კაპიტანმა სლეპოკუროვმა. მტრის ზურგში წინასწარ გაიგზავნენ მეტყვიამფრქვეველები—ძმები სლედნევები. მათ ფრთხილად შემოუარეს სოფელს, შეინიღბნენ და დაიწყეს ლოდინი. რამდენიმე ხნის შემდეგ ქვეგანაყოფმა ფლანგებიდან იერიში მიიტანა მტრის გარნიზონთა წინააღმდეგ. ჰიტლერელებმა დარტყმას ვერ გაუძლეს და უკან დახევა იწყეს, აქ მათ დასცხეს მეტყვიამფრქვეველ ძმებმა. უკანდახეულ ჰიტლერელთაგან ცოტანაღა გადარჩნენ.

უკანდახევისას გერმანელები ყველა გზას მეჩიდროდ ნაღმავენ. მარტო ერთმა ჩვენმა შემტევმა ნაწილმა დღე-ღამის განმავლობაში თოვლიდან ამოიღო ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო 1.000-ზე მეტი ნაღმი.

ნაღმმტყორცნელები და არტილერისტები მუდამ იმყოფებიან შემტევი ქვეითი ჯარის საბრძოლო წყებებში და თავიანთი ცეცხლით გზას უკაფავენ ქვეითებს. უმცროს ლეიტენანტ ბელოგლაზოვის ქვეგანაყოფის ნაღმტყორცნელები 250-300 მეტრზე მიხოხდნენ სოფელთან და დამიზნებითი სროლა აუტეხეს მტერს. გერმანელთა სატყვიამფრქვევო წერტილები მალე დადუმდნენ. მაშინ ჩვენი მებრძოლები იერიშზე გადავიდნენ და სოფელი დაიკავეს. ერთი სანაღმტყორცნო ქვეგანაყოფის მეთვალთვალეებმა გამოარკვიეს, რომ გერმანელებს უკანდანვის წინ სურდათ აეფეთქებინათ საწყობი სამარ მასალიანად. ნაღმტყორცნელებმა ზობოვმა და ორლოვმა სროლა აუტეხეს იმ რაიონს, სადაც საწყობი მდებარეობდა. ჰიტლერელები გაიფანტნენ ისე, რომ სამარი მასალის აფეთქება ვერ მოასწრეს.

ე. კოტრიავიჩევი.

ნაღმსატყორცნებით ფანკების წინააღმდეგ

ნაღმსატყორცნის ცეცხლი საშიში არ არის ტანკებისათვის, რადგან მათ სქელი ჯავშანი აქვთო,—ასე ფიქრობდნენ გერმანელები, რომელთაც გასარღვევად ის უბანი აირჩიეს, რომელსაც საბჭოთა სანაღმტყორცნო ქვეგანაყოფი იკავდა. მაგრამ ჩვენი ნაღმმტყორცნელები ამ საკითხზე სხვა აზრისანი იყვნენ. როცა ბორკვზე საიერიშოდ გაშლილი გერმანელთა 23 ტანკი გამოჩნდა, ნაღმმტყორცნელები სწრაფად მოემზადნენ სასროლად. — ბრძანების მიუღებლად სროლა არ ასტეხოთ,— ბრძანა მეთაურმა. მას თავისი გეგმა ჰქონდა: მიზანში ამოღებულ ზღუდესთან მიეშვა ტანკები და შემდეგ ისე დაერტყა, რომ ნაღმები მუხლუხებქვეშ მოხვედრილიყო.

პირველივე ზალპის შემდეგ მტრის 2 მანქანა უილაჯოდ შეტორტმანდა ადგილზე დამტვრეული მუხლუხებით. ტანკებმა, რომლებიც მანამდე არ ისროდნენ, გრიგალისებური სროლა ასტეხეს. სიტყვასავით წამოსულმა ტყვიამ და ყუმბარებმა თავზე გადაუარა ნაღმმტყორცნელებს. მაგრამ ამას მოჰყვა ნაღმსატყორცნების მეორე ზალპი. იგი ისეთივე ზუსტი იყო, როგორც პირველი. კიდევ ორი მანქანა დადგა ადგილზე.

რამდენიმე ტანკმა შესძლო უფრთხილად გამოპრალიყო ცეცხლის საფარში. მაშინ ნაღმტყორცნელებმა ჯავშანმტვრეველებს მოჰკიდეს ხელი. თითქმის ერთდროულად აპრიალდა ჯავშნგამტანი ტყვიებით დაბურტყული კიდევ 2 ტანკი. საბჭოთა ნაღმმტყორცნელებმა ამ ბრძოლაში ნაღმსატყორცნებითა და ტანკსაწინააღმდეგო თოფებით გაანადგურეს გერმანელთა 11 ტანკი.

ი. ლაპოტნოგოვი

მოქმედი არმია, 23 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან).

მთლიანად და გადამეჯეგებით შევასრულოთ სოფლის მეურნეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა

სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა

ქობულეთის რაიონის მშრომელები, აღფრთოვანებულნი უმაღლესი მთავარსარდლისა—ამხანაგ სტალინის 1943 წლის 23 თებერვლის ისტორიული ბრძანებით, ახალ-ახალ ინიციატივას იჩენენ ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად. სოფლის მეურნეობის მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ დიდი სამამულო ომის ამ გადამწყვეტ მომენტში საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა უზარმაზარ სამხედრო მოსავლის მისაღებად. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დროულად და მაღალხარისხოვნად უნდა შეგასრულოთ. ამას მოითხოვს ჩვენგან სამშობლოსა და ფრონტის ინტერესები.

ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვაში ყველა შრომელი აღფრთოვანა ახალ წარმატებათა მოსპობამდე. მიმართვა განხილულ იქნა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებში. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, ეკალიპტის, მარცვლეულის მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადები, ერთმანეთს ეჯიბრებიან ნაკისრი ვალდებულებათა უკეთ შესრულებისათვის. კოლმეურნეობებში მოეწყო საწარმოო რგოლები. სერიოზული ყურადღება ექცევა ბრიგადებისა და რგოლების მუშახელით სწორად დაკომპლექტებას.

რაიონის ცენტრში ეწყობა სპეციალური დაფა, რომელზეც შეტანილი იქნებიან შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოციალისტური მინდვრების სტახანოველები. პარტიის, რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო საბჭოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და მეცხოველეობის ფერმებისათვის დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშები. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მოწინავე ბრიგადებისა და რგოლებისათვის დააწესეს აგრეთვე გარდამავალი წითელი დროშები. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შესამოწმებლად შექმნილია რაიონული კომისია, რომელიც თვეში ორჯერ შეაჯამებს ვალდებულებათა შესრულებას და გამოაცხადებს მოწინავე ადამიანებს.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამეწარმოებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა განაღდებას. შეჯიბრების პირველი შედეგები მოწმობენ, რომ ბევრგან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ამჟამად უფრო სწრაფად და მაღალხარისხოვნად ატარებენ. მაგალითად, ჩაის პლანტაციების გადაბარგა დაწესებულ ვადაზე 6 დღით ადრე დაამთავრეს 1 მაისის, ბერიას (სოფ. ქობულეთი), ენგელსის, პარაზის კომუნის, ანდრეევის, ყდანოვის, მიქოიანის, ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმამ". ეადამდე სრულდება აგრეთვე ჩაის პლანტაციების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, გასხვლა-გაფორნება, ჩაის პლანტაციებში ტოროფისა და შლამის შეტანა, სასწორებისა და ჩაის საკრეფი კალათების რემონტი, ციტრუსებისა და ტუნგოს გადაბარგა.

ნაკისრი ვალდებულების მიხედვით სიმინდისა და ლობიოს თესვა უნდა დამთავრდეს 1 მაისამდე. საკმაო რაოდენობით მომზადებულია ხარისხიანი თესლი. ბერიას (სოფ. ქობულეთი), ენგელსის, კიროვის, მარქსის, კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობებმა გაიჩაღეს საადრეო ხვნა. მტა-ის ტრაქტორები მიწდვრად მთელი დატვირთვით მუშაობენ.

ამ დღეებში რაიონში ჩატარდა სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, პარტორგანიზაციების მდივნების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თათბირი. თათბირმა მოისმინა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან ადგილებზე სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ქობულეთის რაიონის მშრომელები პირნათლად შეასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, მისცემენ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას სულ უფრო და უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ნედლეულს მრეწველობისათვის.

ვ. ჯანუყაძე

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი.

გავაძლიეროთ ხვნა-თესვის ზემპები

ქარელი („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეობები მასობრივად შეუდგნენ საგაზაფხულო ხვნა-თესვას. სოფ. ქვენატკოცის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, ენერგიულად იბრძვის უზარ სამხედრო მოსავლის მისაღებად. 18 მარტისათვის მოხნული იყო 120 ჰექტარი, საგაზაფხულო კულტურები დათესილია 80 ჰექტარზე. ამ კოლმეურნეობის თოთლაძის ბრიგადა მეორის თავდადებით შეუდგა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ბრიგადა ყოველდღიურ გეგმას 150-200 პროცენტით ასრულებს. სოფ ზემოხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ალდერაში" ხვნა-თესვაზე მუშაობს 16 გუთნეული. კარგად მუშაობენ ქარელის ბერიას სახელობის და კეხიჯვრის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობები.

მაგრამ ზოგან საგაზაფხულო ხვნა-თესვის საქმეში მთელი მუშა საქონელი სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. რუისის წინაუბნის კოლმეურნეობებში ხვნა-თესვაზე მუშაობს შვიდი გუთნეული, ნაკლებად თერთმეტისა. რუისის მტა-ის ჯავახიშვილის ბრიგადის ტრაქტორი მიდმორში გასვლისთანავე გაჩერდა და ერთი კვირის განმავლობაში უქმად იდგა. აგარის მტა-ის „სტზ" მარკის ერთი ტრაქტორი ნოხისის მინდვრებში სამუშაოდ გასვლისთანავე დაზიანდა და ხუთ დღეს მოკდა. აგარის მტა-ს არ დაუმთავრებია მისაბმელი ინვენტარის რემონტი. შეუწყნარებელია ის, რომ ქვენატკოცისა და მოხისის მინდვრებში უპატრონოდ ყრია ნიასაბელი ინვენტარი, რომელიც რემონტს საჭიროებს. მტა-ის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ბოლო უნდა მოეღონ მანქანებისადმი უდარდელ დამოკიდებულებას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მანქანების წესიერად ოვლას.

ვ. ინასარიძე

დეპეშები

კენის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 22 მარტი (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა სახელმწიფო მდივანმა ჰელმა ძალიან შეფასება მისცა ჩერჩილის სიტყვას. ჰელმა კმაყოფილება გამოთქვა ომის გამო, რომ ჩერჩილმა ხაზგასმით აღნიშნა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ომი წარმოებულ იქნას მანამდე, სანამ ღერძის სახელმწიფოები განადგურებული არ იქნებიან როგორც დასავლეთში, ისე შორეულ აღმოსავლეთში და იძულებული არ იქნებიან კაპიტულაცია მოახდინონ ყოველგვარი პირობის გარეშე. ჰელის სიტყვით, მან ინტერესით აღნიშნა, რომ ჩერჩილმა ხაზი გაუსვა ომის აუცილებლობას, რომ დავძაბოთ მთელი ძალღონე, სანამ მიღწეული არ იქნება გამარჯვება, და რომ უნდა მოვიქცეთ ისეთ ადამიანებს, ომის ნანგრევებიდან ამოიზრდებიან, ომის შედეგებით, რომ გაერთიანებული ერები ეწევიან ხანგრძლივ ომს, რომელიც კოლოსალურ მსხვერპლსა და გაჭირვებას ატანას მოითხოვს. უპასუხოდ რა კითხვაზე წინააღმდეგია თუ არა იგი ომის შემდგომ პოლიტიკურ პრობლემათა ამჟამად განხილვისაო, ჰელმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემათა განხილვამ ხელი უნდა შეუწყოს და არა ხელი შეუშალოს ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომის წარმოებას.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 23 მარტი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის თვითმფრინავებმა 22 მარტს ღამით ინტენსიური თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების ბაზაზე სენ-ნაზერში (საფრანგეთი).

გუშინ ამერიკის მძიმე ბომბდამშენებმა დღის მესამე თავდასხმა მოახდინეს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე ვილჰელმსჰაფენში. შემჩნეულია პირდაპირი მოხვედრები.

იმავე დღეს ინგლისის „უირლუინდის" ბომბდამშენები რამდენჯერმე წარმატებით დაესხნენ თავს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

21 მარტს ღამით ინგლისის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს ნეაპოლს.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 24 მარტი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 23 მარტს დღისით ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავები თავს დაესხნენ სენ ეოზეფის ორთქლმავალმშენებელ ქარხანას ნანტის ახლოს (საფრანგეთი) და დაუზარალებლად დაბრუნდნენ ბაზებში.

თავდასხმაში, რაც 22 მარტს ღამით ჰოხდა სენ ნაზერზე, რომელიც სიდიდით გერმანიის წყალქვეშა ნავების მეორე ბაზაა ატლანტის სანაპიროზე, მონაწილეობა მიიღო 300-მდე ოთხმოტორიანმა ბომბდამშენმა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ლონდონი, 24 მარტი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ-აფრიკის ძალების შტაბის ცნობენიკეში ნათქვამია, რომ 23 მარტს, მთელი დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა მარეტის რაიონში. მე-8 არმიამ წარმატებით მოიგერია მტრის კონტრიერიშები და ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ტყვეების რიცხვმა 2.000 ჯარისკაცს გადააჭარბა.

ჰაფსის რაიონში ელ-გატარის აღმოსავლეთით ამერიკის ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ.

მაკასის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა რამდენიმე წაიწიეს წინ, მაგრამ მტრის ძლიერ წინააღმდეგობას ხვდებიან.

სამხედრო მანევრები ინგლისში

ლონდონი, 23 მარტი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, ინგლისში ეს არის ახლა დამთავრდა დიდი სამხედრო მანევრები, რაც 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა 9 საგრაფოს ტერიტორიაზე. მანევრების პროგრამაში შედიოდა შეტევითი ოპერაციები და სამხედეთო ძალებისა და ავიაციის თანამქმედების შემოწმება.

შეკითხვა თემთა კალაგაში შვეიცის პოზიციის შესახებ

ლონდონი, 24 მარტი (საკდესი). რეიტერის საგენტო იუწყება, რომ დღეს თემთა პალატაში შეკითხვები შეიტანეს გერმანიის თვითმფრინავის შესახებ, რომელიც იძულებით დაეშვა ძირს შვეიცარიაში და რომელზეც 19 გერმანელი ჯარისკაცი იმყოფებოდა, აგრეთვე გერმანიის სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავთა შესახებ, რომელნიც შვეიცარის საზღვარზე დაფრინავენ. უპასუხოდ რა ამ შეკითხვებზე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლოუმ განაცხადა, რომ ინგლისის სტოკჰოლმელ დესპანს ინსტრუქციები მიეცა გამოარკვიოს ფაქტები და გამოითხოვოს ახსნა-განმარტება შვეიცარიის მთავრობისაგან.

შვედური გაზეთები გერმანიის ზარალის შესახებ

სტოკჰოლმი, 24 მარტი (საკდესი). ჰიტლერის მიერ გამოცხადებული სასაცილო ციფრები გერმანიის ზარალის შესახებ მთელ რიგ შვედურ გაზეთებს აშკარა მოგონილ ციფრებად მიაჩნიათ. მაგალითად, გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი" აცხადებს, რომ „თუ გერმანიის ზარალი მცირე იყო პოლონეთში, დანიაში, ნორვეგიაში, ბელგიაში, ჰოლანდიასა და ბალკანეთში სამხედრო „გასეირნებათა" დროს, შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა... ზამთარში რუსების შეტევა და განსაკუთრებით სტალინგრადთან გარშემორტყმული მე-6 არმიის მოსპობა ძლიერი სისტლგარემეა იყო გერმანიის არმიისათვის".

გაზეთი „გეტებორგს ჰანდელსტიდნინგი" სწერს: „გერმანიას რომ ნამდვილად მხოლოდ ნახევარი მილიონი კაცი ჰყავდეს დაკარგული, ამჟამად ზედმეტი იქნებოდა მთელი გერმანიის გულმოდგინე ჩხრეკა და ჯარისკაცების ძებნა ფრონტისათვის, აგრეთვე უცხოელი მუშახელის შეგროვება".

უცხოეთის ქრონიკა

ამას წინათ საბერძნეთში დიდი არეულობა მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ ოკუპანტებმა სცადეს რამდენიმე ასეული მუშა გაეგზავნათ საბერძნეთიდან გერმანიაში სამუშაოდ. ათენში მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ოკუპანტების წინააღმდეგ. დაწესებულებებსა და საწარმოებში მუშაობა შეჩერდა. ქალაქის ქუჩებში სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა. მოსახლეობაში ბევრნი დაჭრილნენ.

თურქეთის მთავრობასა და ინგლისის საგაჭრო კორპორაციას შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ალექსანდრეტისა და მერსინის ნავსადგურების რეკონსტრუქციას ინგლისიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან თურქეთში საზღვაო გადაზიდვის გადიდებასთან დაკავშირებით.

24 მარტი. (საკდესი).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის მოწამთმოქმედების სახალხო კომისარ ამხ. ბენედიქტოვის ბრძანებით ნიშნით—„სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული" დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდე